

შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მოქმედების გეგმა

შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭიროა უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და მართვის მიზნით ეფექტური ღონისძიებების გატარება.

რისკების შეფასება და მართვა

რისკების შეფასება და მართვის პროცესი წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. რისკების შეფასების მიზანია, უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიკაცია და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა. პრევენციული ღონისძიებების გატარება უნდა მოხდეს შემდეგი იერარქიით:

- აღმოფხვრა (საფრთხის ლიკვიდაცია);
- ჩანაცვლება;
- ინჟინრული კონტროლი (საფრთხის იზოლაცია, შეზღუდვა);
- ადმინისტრაციული კონტროლი (წესები, ნორმები, ინსტრუქტაჟები);
- კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- მუდმივად უნდა იყოს დაცული სისუფთავე, დაუშვებელია ნარჩენების დაგროვება საევაკუაციო გასასვლელებში;
- ელექტრო მოწყობილობები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში;
- უნივერსიტეტის შენობები (ადმინისტრაციული და სასწავლო კორპუსები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები/ცენტრები) უნდა აღიჭურვოს შესაბამისი კლასის ცეცხლმაქრებით. პერიოდულად უნდა მოხდეს ცეცხლმაქრების ინსპექტირება, გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს ჩანაცვლება;
- ხანძრის ან დაკვამლიანების შემთხვევაში უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის, ასევე უნდა უნდა მოხდეს სახანძრო განგაშის ამოქმედება, ევაკუაცია უნდა განხორციელდეს საევაკუაციო გეგმის და ნიშნების მიხედვით, გამოძახებული უნდა იქნას სახანძრო სამაშველო 122.

ელექტროენერჯისთან არასათანადო მოხერხებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც სხეულის დაზიანება ასევე ფატალური შედეგი, ხანძარი, აფეთქება. სამუშაოები რომლებიც დაკავშირებულია ელექტროდანადგარების მომსახურებასთან უნდა შესრულდეს კომპეტენტური პირის მიერ. სამუშაოების დაწყებამდე სასურველია ელექტრო დანადგარები

არ იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ. სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს ფარული ელექტრო ხაზების იდენტიფიცირება. დაზიანებული ელექტრო სადენების აღმოჩენის შემთხვევაში საჭიროა კომპეტენტური პირის ინფორმირება, პარალელურად ელექტრო წყაროს გათიშვა ან დაზიანებული ადგილის მონიშვნა. ელექტროდანადგარების ექსპლუატაცია და ელექტრო ზონაში მუშაობა უნდა განხორციელდეს ტექნიკური რეგლამენტის „უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ მოთხოვნების შესაბამისად.

საგანგებო სიტუაცია წარმოადგენს გარემოებას, რომელიც აშკარა და მასიურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, აფეთქების და ნგრევის შედეგად. ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდება საგანგებო შემთხვევის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან ხელმძღვანელს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა ევაკუაციას, ევაკუირებულთა აღრიცხვას და მათ უსაფრთხო ადგილზე გადაყვანას. საჭიროების შემთხვევაში პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა საგანგებო სიტუაციის არსებობის შესახებ, რეკავს ნომერზე - 112.

ევაკუაციის დროს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან დაკავშირების შეუძლებლობის შემთხვევაში, ევაკუაციას ახორციელებენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი პირები. ევაკუაციის დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს გადამოწმება, იმყოფებოდა თუ არა ყველა თანამშრომელი შეკრების ადგილზე.

შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის გამართული მუშაობისათვის მნიშვნელოვანია შენობა ნაგებობების და სამუშაო ადგილების პერიოდული შემოწმებები. პერიოდული შემოწმების საშუალებით მოწმდება შრომის უსაფრთხოების და პროცესების შესაბამისობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან.